

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2019 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

4

სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. ახალი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება	19
6. ძირითადი საშუალებები	20
7. ფული და ფულის ეკვივალენტები, დეპოზიტები	20
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
9. კაპიტალი	21
10. კრედიტორული დავალიანება	21
11. წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	22
12. შემოსავალი	22
13. მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები	22
14. მოგება / (ზარალი) კურსთა შორის სხვაობიდან	23
15. პირობითი ვალდებულებები	23
16. ფინანსური რისკის მართვა	23
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	26
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან

ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი
შპს ნექსია თიეს სახელით
30 მარტი, 2020
თბილისი, საქართველო



Closer to you

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	163,734	17,557
სულ გრძელვადიანი აქტივები		163,734	17,557
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	714,966	755,118
დეპოზიტები	7	40,000	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,808,678	1,081,993
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,563,644	1,877,111
სულ აქტივები		2,727,378	1,894,668
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	40,000	40,000
გაუნაწილებელი მოგება		2,064,975	1,391,543
სულ კაპიტალი		2,104,975	1,431,543
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები მფლობელების მიმართ		583	583
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		583	583
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	10	603,102	425,346
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	11	18,718	37,196
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		621,820	462,542
სულ ვალდებულებები		622,403	463,125
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,727,378	1,894,668

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 მარტს.

აღმასრულებელი დირექტორი

ნუგზარ დვალი

8-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	12	3,532,360	3,481,006
მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	13	(1,939,130)	(1,938,140)
საერთო მოგება		1,593,230	1,542,866
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(991,199)	(701,044)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(4,339)
საოპერაციო მოგება		602,031	837,483
მოგება/(ზარალი) კურსთა შორის სხვაობიდან	14	67,796	(12,330)
ფინანსური შემოსავალი		3,605	2,377
ფინანსური ხარჯი		-	(9,970)
მოგება დაბეგვრამდე		673,432	817,560
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		673,432	817,560

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 მარტს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ნუგზარ დვალი

8-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი (შენიშვნა 9)
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	40,000	573,983	613,983
წლის სრული შემოსავალი	-	817,560	817,560
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	40,000	1,391,543	1,431,543
წლის სრული შემოსავალი	-	673,432	673,432
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	40,000	2,064,975	2,104,975

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 მარტს.

აღმასრულებელი დირექტორი
 ნუგზარ დვალი



შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		673,432	817,560
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	29,131	6,340
ფინანსური ხარჯი		-	9,970
ფინანსური შემოსავალი		(3,605)	(2,377)
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	14	(67,796)	12,330
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან			
კაპიტალში ცვლილებებამდე		631,162	843,823
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ზრდა მოკლევადიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(730,257)	(399,573)
ზრდა/(შემცირება) კრედიტორულ დავალიანებაში		168,347	(72,671)
(შემცირება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებები		(18,478)	21,909
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგების გადასახადამდე და მიღებულ/გაცემულ პროცენტამდე		50,774	393,488
გადახდილი პროცენტი		-	(9,271)
მიღებული პროცენტი		3,605	-
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		54,379	384,217
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(175,307)	(18,040)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(175,307)	(18,040)
წმინდა ფულის ზრდა		(120,928)	366,177
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	755,118	399,594
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	14	80,776	(10,653)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	714,966	755,118

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 მარტს.

აღმასრულებელი დირექტორი

ნუგზარ დვალი

8-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“ (შემდეგში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 405214726 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2017 წლის 26 ივნისს და ფუნქციონირებს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. 2017 წლის 28 ივნისს კომპანიის შერწყმა მოხდა შპს „ფიდელის მენეჯმენტთან“ (ს/ნ 404461355). კომპანიის დირექტორია ნუგზარ დვალი.

კომპანიის გაცხადებული კაპიტალი არის 40,000 ლარი. კომპანიის მფლობელები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არიან:

- შპს „ბლუ ლიბრა კონსალტინგ ლიმიტედ“ (22%)
- შპს „AVMC CYP HOLDING LTD“ (68%)
- შპს „სი ბი ჰოლდინგ“ (10%)

კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები: რაფაელა მაროლიო და ჯორჯო სარონე.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, აფაქიძის ქ., N 11, მე-3 სადარბაზო, მე-6 სართული, ბ. N131.

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ბოლო, მოქმედი ლიცენზია გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 დეკემბრის #154 განკარგულებით). კომპანია ახორციელებს საბროკერო მომსახურებას, ასევე კლიენტების ფულადი სახსრებისა და აქტივების მართვასა და კონტროლს. გარდა ამისა კომპანია უწევს კლიენტებს პროფესიონალურ კონსულტაციებს ინვესტიციების დარგში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

როგორც ეს 19-ე შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების

2. მომზადების საფუძველი (გარგმელება)

მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომ სეზ) გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სეზ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701
1 GBP/GEL	3.7593	3.3955
100 JPY/GEL	2.6273	2.4278
1 CHF/GEL	2.9488	2.7268
1 CAD/GEL	2.1939	1.9674
1 AUD/GEL	2.0057	1.8894

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც იწვევს ერთი სუბიექტის ფინანსურ აქტივს და მეორე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმაზე თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად ნაწილზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ

ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

3. მნიშვნელოვანი საღარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები, დეპოზიტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომლის ვადაც იწურება ფინანსური ანგარიშების თარიღიდან 90 დღეში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. დეპოზიტები ანგარიშების თარიღის შემდგომ 90 ზე მეტი ვადიანობით აღირიცხება როგორც დეპოზიტები.

ფულადი საშუალებები და დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

საბანკო ოვერდრაფტები მოცემულია, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე ვალდებულებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცხოგლო პერიოდის განმავლობაში:

	ცვეთის ნორმა %
ავეჯი და სხვა მოწყობილობები	10%
კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	25%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იდენტიფიცირებადი სასარგებლო მომსახურების პროცენტების მქონე არამატერიალური აქტივები ყოველ წელს მოწმდება გაუფასურებაზე. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების პროცენტი განსაზღვრულია 25%-ით. ამორტიზაციის მეთოდი და პროცენტი ყოველ წელს გადაიხედება და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბროკერო მომსახურების გაწევა და კლიენტების ფულადი სახსრებისა და აქტივების მართვა და კონტროლი. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

კაპიტალი

კომპანია წარმოადგენს საბროკერო კომპანიას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, მოთხოვნასთან შესაბამისად მისი კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში აღიარებულია საწყისი ღირებულებით. 2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუზრდია საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2019 წლის განმავლობაში.

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. კომპანიის ყველა იჯარა არის მოკლევადიანი ხასიათის, შესაბამისად წინამდებარე ანგარიშგებაში აღიარებულია იჯარის ხარჯი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)
ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ახალი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

კომპანიამ ისრაგებლა ფასს 16- ის 22-49 პუნქტებში აღნიშნული გამონაკლისებით, ქვემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით

- კომპანიას აქვს მოკლევადიანი იჯარა, რომელიც არ აღემატება ერთ კალენდარულ წელს, კომპანიას კონტრაქტით არ აქვს იჯარით აღებული ქონების შესყიდვის უფლება;
- იჯარის აქტივების ჯამური ღირებულება, ფასს 16-ის ბ3-ბ8 მუხლების მიხედვით აღიქმება, როგორც დაბალი ღირებულების მქონე.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	არამატერიალური აქტივები	ჯამი
31 დეკემბერი 2017	2,579	6,222	-	8,801
შემოსვლა	1,841	16,200	-	18,041
31 დეკემბერი 2018	4,420	22,422	-	26,842
შემოსვლა	24,786	146,511	4,011	175,308
31 დეკემბერი 2019	29,206	168,933	4,011	202,150

აკუმულირებული ცვეთა	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	არამატერიალური აქტივები	ჯამი
31 დეკემბერი 2017	499	2,446	-	2,945
ცვეთის ხარჯი	484	5,856	-	6,340
31 დეკემბერი 2018	983	8,302	-	9,285
ცვეთის ხარჯი	810	26,143	2,178	29,131
31 დეკემბერი 2019	1,793	34,445	2,178	38,416

წმინდა საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბერი	3,437	14,120	-	17,557
2018 წლის 31 დეკემბერი	27,413	134,489	1,832	163,734

7. ფული და ფულის ეკვივალენტები, დეპოზიტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	699,739	739,688
ფული სალაროში	15,227	15,430
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	714,966	755,118

კომპანიას ასევე განთავსებული აქვს მოკლევადიანი დეპოზიტი ტერა ბანკში, რომელსაც ერიცხება წლიური 9%-იანი სარგებელი. ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები. დეპოზიტის დახურვით თარიღია 11 მაისი 2020 წელი.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	1,808,678	1,081,993
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,808,678	1,081,993

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის. პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა გაუფასურების რეზერვის ცვლილება.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე და არა გაუფასურებული მოთხოვნები კლიენტების მიმართ	1,808,678	1,081,993
სულ მიმდინარე და არა გაუფასურებული	1,808,678	1,081,993
სულ მიმდინარე და არა გაუფასურებული, ნეტო	1,808,678	1,081,993

9. კაპიტალი

კომპანიას 2019 და 2018 წლების განმავლობაში არ განუხორციელებია ცვლილება საწესდებო კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს კაპიტალის მოთხოვნას.

10. კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	335,483	386,818
სხვა დავალიანება	267,619	38,528
სულ კრედიტორული დავალიანება	603,102	425,346

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად კლიენტის მიერ გამომუშავებულ თანხებს რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“
 ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

11. წმინდა საგადასახადო ვალდებულებები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საგადასახადო აქტივი, შესაბამისად მისი წმინდა საგადასახადო ვალდებულება შედგება მხოლოდ ვალდებულებებისგან.

12. შემოსავალი

	2019	2018
პორტფელის მართვის მომსახურების საკომისიო	2,424,915	2,747,301
საბროკერო მომსახურების საკომისიო	768,133	358,234
ანგარიშების გახსნის საკომისიო	293,205	295,137
ანგარიშების დახურვის საკომისიო	27,915	34,059
ადმინისტრაციული მომსახურების საკომისიო	7,296	16,463
სხვა ოპერაციების საკომისიო	10,896	13,354
წმინდა მოგების საკომისიო	-	12,197
საკონსულტაციო მომსახურების საკომისიო	-	4,261
სულ შემოსავალი	3,532,360	3,481,006

13. მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
კონსულტაციის ხარჯი	922,111	777,444
ფიდუციური მომსახურების ხარჯი	536,152	564,965
საინვესტიციო პორტფელის მართვის ხარჯი	429,027	556,851
ხელფასები	51,840	38,880
სულ მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	1,939,130	1,938,140
გარე რესურსირებული ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები	324,073	223,851
საგადასახადო ხარჯი	214,905	174,367
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	141,237	95,116
ხელფასები	100,212	72,250
ბანკის მომსახურების ხარჯი	66,583	-
სხვა ხარჯები	41,428	37,948
ცვეთის ხარჯი	28,301	6,340
მივლინების ხარჯი	24,998	41,353
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	23,323	13,270
ოფისის ქირის ხარჯი	16,204	13,206
წარმომადგენლობითი ხარჯი	9,935	13,033
ტრენინგების ხარჯი	-	10,310
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	991,199	701,044
სულ საოპერაციო ხარჯები	2,930,329	2,639,184

14. მოგება / (ზარალი) კურსთა შორის სხვაობიდან

	2019	2018
რეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	80,776	(10,653)
არარეალიზებული საკურსო ზარალი	(12,980)	(1,677)
სულ მოგება / (ზარალი) კურსთა შორის სხვაობიდან	67,796	12,330

15. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოთ მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და სავალუტო კანონმდებლობა შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი.

პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და ექვემდებარება კურსის არამომგებიან ცვლილების რისკს.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას.

ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2019	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი	შვეიცარული ფრანკი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	55,678	25,351	630,940	-	2,997	714,966
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	567,652	70,502	1,170,524	-	-	1,808,678
დეპოზიტები	40,000	-	-	-	-	40,000
სულ ფინანსური აქტივები	663,330	95,853	1,801,464	0	2,997	2,563,644
ფინანსური ვალდებულებები						
გარიგებებისა და მომსახურებისთვის						
გადასახდელი თანხები	298,424	-	266,150	-	-	564,574
სხვა დავალიანება	-	-	37,000	759	769	38,528
სულ ფინანსური ვალდებულებები	298,424	-	303,150	759	769	603,102
წმინდა სავალუტო პოზიცია						
	364,906	95,853	1,498,314	(759)	2,228	1,451,765
გავლენა მოგება ზარალზე						
30%-იანი ზრდა	109,472	28,756	449,494	(228)	668	588,163
30%-იანი შემცირება	(109,472)	(28,756)	(449,494)	228	(668)	(588,163)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა:

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
კრედიტორული დავალიანება კლიენტების მიმართ	267,619	-	-	267,619
სხვა დავალიანება	335,483	-	-	335,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	603,102	-	-	603,102

31 დეკემბერი, 2018

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	386,818	-	-	386,818
სხვა დავალიანება	38,528	-	-	38,528
სულ ფინანსური ვალდებულებები	425,346	-	-	386,818

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები, ხოლო დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	717,966	717,966	755,188	755,188
დეპოზიტები	40,000	40,000	40,000	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,808,678	1,808,678	1,081,993	1,081,993
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	603,102	603,102	425,346	425,346

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი; (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო. (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი. (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში; (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს. (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის მფლობელები არიან დაკავშირებული მხარეები შემდეგი წილით - შპს „ბლუ ლიბრა კონსალტინგ ლიმიტედ“ (22%), შპს „AVMC CYP HOLDING LTD“ (68%) და შპს „სი ბი ჰოლდინგ“ (10%).

2019 წლის საანგარისგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ქონდა შემდეგი სახის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

- შპს „AVMC CYP HOLDING LTD“- 860,225 ლარი, რომელიც წარმოადგენს კონსულტაციის ხარჯებს;
- ჯორჯო სარონე - 159,645 ლარი მომსახურების ხარჯი;
- რობერტო ლორენცინი - 362,285 ლარი მომსახურების ხარჯი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას:

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანია გადავიდა მუშაობის ე.წ. „დისტანციურ რეჟიმზე“, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით დისტანციური რეჟიმით მუშაობა კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის საქმიანობას არ აფერხებს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.